

გ მ ყ ი მ ს ი

ს ა ს უ ლ ი რ ი თ ა თ ა ვ რ ი თ ბ ი ს 8 ა 6 5 1 რ 8 უ ლ ე ბ ა 6 0.

3 ი რ ი .

განჩინება უწმიდესი სინოდისა.

2 ივნისიდგან 1886 წლისა, № 1412, საკულტო-სამრევლო სკოლების სასაწავლო საგრძნების პროგრამების გამოცემაზე.

შემდინარები მათი იმპერატორებითი უდიდებულებისა, უწმიდეს და უმართებულების სინოდს ჰქონდა მიჯელობა საეკულესო-სამრევლო სკოლების სასწავლო საგრძნების პროგრამების გამოცემაზე. ბოძნებს: საღუძელსა ჯედა 5 ს უმაღლესად დამტკიცებულთა 13 ივნისიდგან 1884 წლის წესდებათა საეკულესო სამრევლო სკოლების შესახებ, უწმიდესი სინოდის განჩინებამდე 14 თებერვლიდამ, 20 და 27 მარტიდამ, 3 აპრილიდამ და 2 მაისიდგან ამა 1886 წლისა, დამტკიცებულ არიან სასწავლო საგრძნების პროგრამები ერთკლასიანი და ორ კლასიანი საეკულესო-სამრევლო სკოლებისთვის. თევლის რა საჭიროდ ამა პროგრამების გამოცემასთან წინაუძღვნას სახელ-მ'ლეანელო დარიგებანი, რათა რეგისანად უეგნებულ იქმნეს საეკულესო-სამრევლო სკოლების მნიშვნელობა და რათა მათში სამასწავლებლო ნაწილი სწარმოებდეს აპრილის მეტრ წესდებათა უმაღლესად დამტკიცებულის 13 ივნისიდგან 1884 წლისა, უწმიდესი სინოდი განაწესდს: საეკულესო-სამრევლო სკოლების პროგრამებთან ერთად იყოს დაბეჭდილი სახელ-მ'ლეანელო წინასტრუქციელი გასარკვეველად ნაჩენები შინაარ-სისა, რომლის შემდეგ აგეთი პროგრამები ცირკულირული, უქაჩებით, გაფარგოს ყელა ეპარქიალურ მღვდელთმთავრებს, რომლი ამ პროგრამებს დაცემდებაზე საყოველთაო საცნობლად ეცნობოს „საეკულესო-სახარებელი“-ს რედაქციას.

სამკლესო-სამრევლო სკოლების სასჯავლო
საზოგადოს პროტოკოლი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი .

მნიშვნელობა საეკულესო-სამრევლო სკოლისა და მისი დამტკიცებულებების ეკულესის და მღვდლის განმანათლებელ მწერებულ მოვალეობასთან.

ქვეთოლ მსახურებითი და უძველეს ჩვეულებას მართლმადიდებელი რუსეთის ხალხისა—მათგან შვილების მიცემა მღვდლებთათვის წურა-კითხვის სასწავლებლად, ტაძრებთან და მონასტრებთან სკოლების აღმენება, აქეს მტკიცე და უტყუარი საფუძველი. შეიძლა ჩვენი ეკულესია თვით უფალი იქსო ძრისტესაგან დაგალებულია დაიცვას და მოპირის ქვეყნიერებას სალმრთო წერილი, შემძლებელი განმრწიდება შენდა ცხოვრებისთვის (ბ ტიმ. 3, 15), იყვნე მასწავლებლად და სარწმუნოებისა და კუთილ-ცხოვრებისა და უკლებელ საუნჯედ ღვაისგან მონიჭებულის მატლით საფხე საშუალებათა, უსაჭიროესთა მისთვის, რომ ღვიას იიტენეს თესლმა აღმოამცენაროს თესლი კეთილი თავის დროზე, რათა საუჟღი იყოს ღმრთის გაცი იგი, უფლება მიმართ საჭიროა გეთილი განმრწიულებ (ბ ტიმ. 3, 17). ეკულესის სიტყვა უმაღლესია კაცის ყოველივე სწავლაზე და ერთ გვარად უფლება ბორშებზე, მამებზე, საწყვავზე და თევით სულიერ მწერებზე, რომელნიც არიან მახარებელნი და აღმხსნელნი მისი სწავლისა. პოველი ქრისტიანე მოვალეა იქნოროს და ემზადებოდეს საუკუნო ცხოვრებისათვის ეკულესის მევარელობასა ქვეშე, მის ცხოველ-მყოფელის დარიგებათა მუდმივი ზღდ-გავლენით.

სკოლა ეკულესისთან წარმოადგენს საეკუთხესო საშუალებას, რათა ბაშების გულში აღბეჭდილ იქმნენ პირველ დაწყებითი ჭეშმარიტებანი სარწმუნოებისა და

კეთილ-ცხოვრებია, რათა მათი გული მიზადული იქნას ეკულესის, დედის მსგავსის, წელმძღვანელობისადმი და რათა მათი სურვილი - დამიტორჩილებული იყოს ეკულესისადმი. საეკულესიო-სამრევლო სკოლის მოწაფენი, აღზრდილი ეკულესის მფარველობასა ქვეშე სიტუაცია სარწმუნოებისათა (ა ტიმოთ. 4, 6) და განვითარების დანართის შინა (სტ. 7), ეკულესის ლოცვების, საეკულებიო საგალობელთა და მღვდელ-მოქმედებათა მაღლის ჰედგავლებით, შეითვისებენ მათდამი მიცემულ გაკვეთილებს არა მხოლოდ ერთი გონიერით, არამედ გულითაც და ყოველი სულით, სიყვარულით და ღვთის კრძალვით, როგორც ზეგანდამდე სიბრძნეს (იაკობ. 3, 17), როგორც გზის მაჩვენებელ დასაწყის და წესდებათ, საჭიროთა მთელი მათი შემდეგი ცხოვრებისათვის.

შმახლოებლებად საეკულესიო-სამრევლო სკოლის საქმე შეერთებულია ნათლის ღების მღვდელ-მოქმედებასთან. მომიტაფენით უფასები წარმართნა და ნათელს სცემდება მათ, უბრძანა უზალმა მოციქულების პირით მისი სიტყვის მსახურთ და მისი სიიდუმლოების შემასრულებელთ (მათ. 28, 19). ეკულესისთან სკოლა მწერებს აძლევს საშუალებას, რომეს საქმე, რომელიც ასე აუცილებელი მოვალეობა არის მღვდლისა და ასე საჭირო დარიგება ყოველთვის, უფრო ადვილად და წარმატებით სწარმოებდეს. უფრო მაღე შეიძლება ასწავლო კაცმა ბევრს სკოლაში, ვინემ მაშინ, როცა თვითეულთან ცალკე მოგიხდება მცენინბა: წესიერი მსელელობა სწავლების საქმეში, ხნოვანების შესაფერად ბავშვების დაწყობა, იმათი ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის წაქება, მათი ცოდნის შეტყობა, კლასის სახელმძღვანელო, უცვალებლობა ერთხელ მიღებულთა წესთა და სასტიკი წესიერების დაცვა—ყველა ესეები ისეთ საშუალებას წარმოადგენენ ბავშვებისათვის სარწმუნოებაზე სწავლი, და კეთილცხოვრების შეთვისების შესახებ და ეკულესისადმი მიმზიდველობისას, რომლებიც სკოლის გარეშე შეუძლებელი არიან. სამწყსოსათვის სარწმუნოების შეშმარიტების და კეთილ-ზერაბიანი ცხოვრების სწავლება, დიახაც არ უნდა თავდებოდეს სკოლით, არამედ უნდა კრუელდებოდეს იგი კაცის მთელ ცხოვრებაზე უკანასკნელ წამამდე. მუდამ მოზრდულთა დამწყვის საქმეს მწერები ასრულებს ქადაგებითი ისტყვით და ღვთის მსახურებით. მაგრამ მისთვის, რომ მსმენელთ გაუადვილდეს მწერების სიტყვის გა-

გება და ეკულესის საკუთარი სიტყვისა, რომელიც გამოხატულია ლიკვებში და საეკულესიო საგალობლებში, საჭიროა მათთვის მომზადება, რომელსაც იქ-ლევა წესიერად მოწყობილი სკოლა: ამგარი სკოლების მოსწავლენი სწავლობენ სარწმუნოების პირველ დაწყებითი ჰეშმარიტებათა და კეთილ ცხოვრებას, ითვისებენ ცხონების ისტორიის უმთავრეს საშუალებათ, ეწვევიან თვით მწერების და ეკულესის ენას, და სწავლობენ გაგებით უცირიონ იმას, რასაც ეკულესის ხედავენ და ესმისთ. როცა სამწყაო ამგვარად მომზადებულია, მწერებ-მქადაგებელს, ეცოდინება, თუ ეს და რაზე ელაპარაკოს, მის წინაშე იდგომება ხალხი, რომელიც ეცოდინება მწერებს პატარაობისგან, ეცოდინება მათი ნიჭი და გულის მოჰგინება; ეცოდინება აგრეთვე, თუ რომელმა მათგანმა უფრო ბევრი იცის. როცა ასეთი მსმენელი მიიღებენ და რიგებას ეკულესის და მისი მწერესისაგან, შემდევ ისინი გადასცემენ და აუქნილი გაკონილ და ნაწილებს სხვებსაც ეხლაც არიან ღვთის მოშიში და გამოცდილი ნი მკითხველნი და მგალობლები საერთო პარებში, რომელთა კითხვა და გალობა ეკულესიაში დას შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე. საეკულესი-სამრევლო სკოლა, რომელიც აუცილებლად სლავო-ნურ ენაზე კითხვას და გალობას ასწავლის, გამრავლებს ამ მკითხველთა და მგალობელთა რაცეც და მისცემს მღვდელს უფრო დიდ საშუალებას ღვთის-მსახურების უფრო კრძალულებით და შესაფერისად შესრულებითავის.

ეკულესისთან მტკიცე და ახლ კავშირისა გამო, საეკულესიო სკოლა თვით დასაბამიდვან შეიქმნა ეკულესის უმთავრეს საკუთრებად. მისი დასაბამი იწყობა თვით განცხადებაში, რომელიც წინაუძღვდა ნათლის ღებას, ანუ იწყებოდა მის შემდეგ. ეკულესია ყოველთვის ზრუნავდა დედასაცით ახლად ნათელ-ღებულთათვის, როგორც დიდებისათვის, აგრეთვე ბავშვებისათვის და თავის ამ ზრუნვაში იქცევადა მონათლულთა ხნოვანებისა და მდგომარეობის შესაფერად. უფრო ხნიერი კათა კმეველნი იკრიბებოდნენ საწავლებლად ქრისტიან მასწავლებლების სახლებში, ხოლო შემდეგ, როცა შესაძლო შეიქმნა, აღშენებულ იქმნენ დიდი შენობანი ტაძრების მახლობლად, სა-დაც სანათლავები იყო და აქ ბევრი ერთს და იგივე დროს, ისმენდენ სულიერი მასწავლებლის სიტყვას.

(განვითარება იქნება)

კუთხი

1885-1886

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთვერ, უფავის თვეს ათს, ოცს და ოც-და-ათ ჰიცხვებში.

რათომ ერთსა და იმავე ზეს არ ვაღივარი
ჟველა მართლ-მაღიდებელი ჩაისტიანები სავა-და-
სხები დღესასაულ დღეების და ვაკლესიური წე-
სების აღსრულებაში.

მართლ-მაღიდებელი ეკკლესიის დომატები ერ-
თია ყველა იმ ხალხთათვის, რომელნიც ეკუთვნიან ამ
ეკკლესიას. არავითარი განსხვავება ამ მხრით არ
არის ამ ხალხთა აწმენაში. ლეონი-მსახურების ტიბი-
კონიც ერთი აქცთ ყველა მართლ-მაღიდებელ ხალხ-
თა, მაგრამ, სამწუხაროდ, მრავალ-გვარ სხვა-და-
სხვაობას ვხედავთ მართლ-მაღიდებელი ეკკლესიის
წესების და დღესასწაული დღეების აღსრულებაში არა
მარტო ამ მართლ-მაღიდებელ სსე-და-სხვა თემის ხალხ-
თა შორის, არამედ თეთეულ თემში არსებობს გა-
საოცარი მრავალ-გვარი სხვა-და-სხვაობა ზოგიერთი
ეკკლესიური წესების აღსრულებაში. პეილოთ თუ-
გინდა მძრტო ჩვენი საქართველო, რომელსაც დიდი
ალაგი არ უკავია და დავაკირდეთ, თუ რა საოცარი
სხვა-და-სხვაობა სუფეს ზემოთ მოხსენებულ წესების
აღსრულებაში და დღესასწაულობაში. პეილოთ მა-
გალითებრ ეკკლესიის ზარების რეკა. არა თუ ყველა
ეპარქიებში, არამედ მარტო ერთად ერთ ეპარქიაში
არ რეკენ ზარებს ერთაირად. ზოგიერთ აღილას
არავითარი გარჩევა ზარების რეკაში არ არსებობს.
ზარების რეკა ძლიერ განსხვავდება დღესასწაულებში,
დიდ-მარხების დღეებში, მწუხრზე, ცისკარზე და გარ-
დაცვალების ეკკლესიაზე მისვენების დროს. ჩვენში
კი ერთნაირად რეკენ და სრულებით არ ცდილავნ,
რომ კარგათ წაიკითხო ტიბიკონი ზარების რეკას
შესახებ და ყველგან ერთნაირად ასრულონ ეს ეკ-
კლესიური წესი.

დაუკვირდეთ მიცვალებულის წესის აგებას და
მის დასაფლავებას. მრთ ადგილას აქცთ ჩვეულება,
ჩვეულება საქები, ბაირალებით გაუძლვებიან გარდაცვა-
ლებულს, მეორე ადგილას-რა. მრთ ადგილას მღვდე-
ლი დამზადებულ სასმელ-საჭმელთან პანაშეიდის იხდის
და პანაშეიდის გამთაცეს გარდაცვალებულს მოიხსე-
ნიებს და ამ მოხსენების დროს ღვანით საცხე დოქს
თავს წაუქცეს. მეორე ადგილას მღვდელი პანაშეიდის
იხდის, სტოლზე წანდილ, აქცს დაღმული და სხვას
არასულებს არ ასრულებს. მართლ-მაღიდებელი ეკკლე-
სიის მღვდელს აღყრიძალება სხვა ქრისტიანეთა-აღმისა-
რებელსა ზედა წესის აგება და პანაშეიდის აღსრუ-
ლება. თუ მათი მღვდელი არ იმყოფება ადგილზე,
შეიძლება ჩვენი მღვდელი მარტო ფილონით და
ოლარით წინ გაუძლევს „შმიდაო ლერთო“-ს გალო-
ბით მიცვალებულს სახლიდან სასაფლაომდე. მრა-
ვალი მღვდელი ამ წესს აღიან, მაგრამ ზოგიერთე-
ბი მთელს პანაშეიდის იხდიან ხოლმე იმისთანა გარ-
დაცვალებულებზე, რომელნიც სხვა ეკკლესის ეკუთ-
ვნიან. ღმიანობის დროს ხშირი მაგალითები არის,
რომ წესის აგებას თხოვულობენ პოლკის უმჯროსები
ზოგიერთ საბატიო პირებზე მაჰმადიანებზედაც. ამის-
თანა მათ თხოვნაზე უარის თქმა გამოიწვევს მღვდლი-
სათვის დიდ უსიამოვნებას.

პეილოთ საიდუმლო გვირგვინის კურთხევის
შესრულება. ზოგიერთ ადგილას საზოგადო ბარძიმის
მიცემის დროს წინ-და-წინ თითო ლუკმა პურს მის-
ცემენ მეფე-დედოფალს და შემდეგ ღვინოს მიაღები-
ნებენ. ზოგან მღვდლები მეფე-დედოფალს ხელებს
მოაკიდებინებენ ერთმანეთს, მათ შეერთებულ ხელს
მღვდელი მოჰკიდებს ხელს, დათარებს ოლარით და
ისე უვლიან ანალოგიას გარშემო. ზოგან კი
მღვდელი ამას არ ასრულებს.

აიღეთ ნათლის-დების, მირონ-ცხებას და სხვა საიდუმლოების შესრულება. აქაც თქვენ შენიშნავთ ამ საიდუმლოთა აღსრულებაში მრავალ-გვარ სხვა-და-სხვაობას. რაიცა შეეხება ზოგიერთი დღეების დღესასწაულობას, ამაზედ არათუ სამლენელონა არამედ მრევლნიც კი გაკარვებული არიან. მრთსა და იძველებული ერთი მღვდელი ადღეს-სწაულებს თავის სამწყსოს და შეორე ადგილას-არა. მრთი მღვდელი ეუბნება ხალხს, რომ იუქმონ მათ, ხოლო მეორე—უშლის.

მართალია, ამისთანა ეკულე ური წესების და მათი პაპის ჩეცულებათა ასრულებას დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ და ამისთანა ეკულესიური წესების სხვა-და-სხვა ნაირად აღსრულებით დოლმატიური სწავლა ჩევრი ეკულესისა არ ირლვევა, მაგრამ ამ გვარ ეკულესის წესების სხვა-და-სხვა ნაირად აღსრულებას ცუდი გა- ლენა აქეს სახოგადოებაზე და სასთან, ცოტად თუ ბეჭრად ესეც არის ერთი მიზეზი ხალხის რელიგიური გულ-გრილობისა.

ჩვენ ხშირად მოგვდის წერილები მწყემსთავან ამ საგნის შესახებ. დიღათ სწუხრან სამღვდელონი ამ სხვა-და-სხვაობაზე და სურვილს განაცხადებენ, რომ ცველასთვის და ცველგან ერთ ნაირი წესი იყოს დაარსებული სხვა-და-სხვა წესების აღსრულებაში. უწმიდეს ინოდს ვანზრახვა აქეს, რომ საჭიროების შეხედებისა მებრ ადგილ-ადგილ მოახდინოს კრება მღვდელ-მთავართა. ძლიერ კარგი იქნება, რომ ამისთანა მღვდელ-მთავართა კრება მოხდებოდეს ჩვენს საქართველოშიც. მრავალი საგნებია, რომ მელნიც უურადღების მიქცევას თხოულობენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მღვდელთ-მთავართა ამისთანა კრება დიდ სარგებლობას მოუტანს ეკულესის და დაეხმარება სარწმუნოების და ქრისტიანობრივი ზნების ამღლებას.

მაგრამ მღვდელ-მთავარების შეკრებას არ უნდა უფურის სამღვდელოებამ. მათ შეუძლიათ მოილაპარაკონ თავიანთ საბლალოჩინო კრებაზე ამ საგნებზე და ეცადონ ერთ წესზედ დადგომას. ამ საგნზე ეპარქიის მთელ სამღვდელოებასც შეუძლია თავის ეპარქიალურ კრებებზე გამართოს ბაზი და ერთს ეპარქია. შეი მარცხინე და დაედგენ ერთ წესს-წყობილებას.

მდვ. დ. ლამბაშიძე.

გ ა უ ც რ თ ხ ი ლ დ ი მ თ ი მ რ ი თ ხ ი ა მ

ამას წინეთ, როგორც იციან ჩევრმა მცითხველებმა, დ. შვირილაში მოყიდა ერთი კაცი და ექიმობა დაიწყო. ბევრი ავათ-მყოფები შემოხვინ მას. მაგრამ ეინ იყო ეს კაცი და ან ჰქონდა მას ექიმობის უფლება, თუ არა, არ ვიციდით. დღეს კი შეგვიძლია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ კაცის ვინაობაზე.

შორაპნის მარა ისე ვრცელია, რომ ორი-საშინასწავლი ექიმი არც კი კმარობს და ამიტომ ყველა ახლად მოსულ ექიმს, როგორც მოგეხსენებათ, ხალხი ძლიერ ეცვევა სოლმე. ამ ახალს „ექიმსაც“ ბლობად მიაშურეს ავათ-მყოფების პატრონებმა. პირველად ძნელი შესაჭრობი შეიქმნა ამ ვითომ «ექიმისა» ვინაობა. ბოლოს, როცა დ. შვირილაში მეჯვახეთა სიებს აღვენდენ, ამ გამოჩენილ ექიმსაც შეხვდა რიგი სიებში ჩაწერისა. საების შემადგენლოს ამ ბატონში ასე მოახსენა თავის ვინაობა: „ცოლი არა მყავს, რუშინგლი კარ, აზნაური პეტრობურგის გუბერნიისა, ხიმიუ ვარ, ღორიბ და გავირებულებს ეწალობ.“ ამ ღრის პოლიციაც მოსთხოვა ამ კაცს სამუთები თავის ვინაობაზე. თურმე ნუ იტყვით, ეს ჯანილოს ექიმი ყოფილა ის აფიცერი, რომელიც 1870-1873 წლებში დ. შვირილაში ერთ მცირე თანამდებობას ასრულებდა და, ჯამაგირი რომ არა ჰყოფილა, სოფელში დაიარებოდა და გლეხ-კაცებს ერთ-ერთმანეთზე აჩიელებდა და ამ ნაირად საზრდო პურსა შოებდა და თავს იკვებავდა. ბოლოს ღრის სურამში ადვოკატობდა. სურამშიც თავის „ძუნძულობა“ გამოიჩინა. შემდევ თბილისში წავიდა. თბილისში, როგორც ამბობენ ზოგიერთები და ნამდევილი კი არ ვიცით, ეს კაცი ვითომ მომკედარა, მაგრამ დღეს რაღაც სასწაულობით გაცოცხლებულა. ზაფირი, რომ ჩვენს შორაპნის მარაზი შევიქა გამოჩენილა და ცოველი კაცი ფულის საშორისად აქ მოდის. ისიც ამდგარა, ქარავანს გამოიკულია და ჩამოსულა შვირილაში, მაგრამ სხვა ტანისმოსით. მიმხდარა, რომ თავის გონების ნაკლულევანებას კაცი ისე ვერც ერთ წოდებაში ვერ დაფარავს, როგორც ექიმობის წოდებაში და ამიტომ ეს ხელობა ალურჩევია და ატყუებს ხალხს. მართლაც, შენი ავათ-მყოფი თუ მორჩა, ისიც რწმუნდება და შენც არწმუნებ, რომ შენ მოარჩინე, თუ მოკედა, ეუბნები—



ლის ნება იყოვო. რას გიზამს, სიკვდილის შემდეგ მე ვერ გიჩივლებს? ორიოდე სიტყვა მოჯლაბნე ჰათინურად, თუ გინდა შაქრის წყალი დაუნიშნე აქეულს, მხოლოდ დარიგე, რომ თითო სტოლის კოვზი დალიოს და ჯანილოს ექიმს დაგიძხებენ.

ერთმა საერო თანამდებობის საპატიო პირმა, რომლის უურადლება ჩვენ ამ ექიმზე მივაჭირეთ, ასე გვითხრა: „თქვენ რას დაეძებთ, ასე მოუხდება უგნურს ხალხს, ღრია ისწავლო ჭეულა და მოერიდონ ამისთანა პირებს. მღვდელმა მაგისთანა კაცებზე ხმა არ უნდა ამოილოს“. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენ ზეობით მოვალეობად ვრაცხო გავათროთხილოთ უცელანი და ავაშიროთ ამისთანა მატურარა და მავნე პირებს. უნგბლიერ გვაგონდება აქ „დაქტორი ზაპოლსკი“. ს სახელით ჩადენილი ათას ნაირი ავაზაკობა და ბორიოტება, რომელიც ოცდა თხუთმეტი წელიწადი დაბრძანდებოდა რუსეთის გუბერნიებში, ათ ჯერ დაწერა ჯვარი, ათას ნაირი ვერაგობა და ბორიოტება ჩაიდინა, ათჯერ ციმბირიდამ გამოიქცა, თანამდებობაზე ინიშნებოდა ხოლმე და ოცდა თხუთმეტი წლის ამისთანა სამსახურის შემდეგ მოსკოვში დაიჭირეს ეს კაცი დოქტორი ზაპოლსკის სახელით. ბევრს სწერე სოფლის მკითხვებზე და ექიმებზე, მაგრამ ამისთანა გაიძევება პირუბი უფრო საშიშარნი არიან. პირველები აპაზობით ართმევენ უბრალო და უმეტარ ხალხს, ხოლო ამისთანა პირები კი ოცდა და ორმოცდა მანეთობით იღებენ და უფრო ასტატურად ატყუებენ უმეტართა და საზრდოს ართმევენ ხელიდამ.

ლ ე ჩ ხ უ მ ი დ ა მ.

ლექსუმი მთელს პაციანიშიდ ერთი მიგდებული და მივაჩნილი ადგილი არის. ამ მაზრის ახეთი მდგბიარობის მიზეზი არის, რომ აქამომდე ბევრი რამ აკლა და აკლია ამ მაზრას. სხვათა ნაკლულევანებათა შორის უფრო შესამჩნევი იყო აქ ნასწავლი ექიმის უყოლობა და სამკურნალო საშუალებათა უმექონელობა; მაგრამ დღეს, ლეთის მადლით, ექიმებიცა გვყანან აქ და სამკურნალო საშუალებაც მოგვეპოვება. დღეს ამ მაზრაში ორი ექიმი გვყავს; ერთი ამ ექიმებთაგანი უ. პახინი ღრიებით ჭუთასში იმყოფება მთავრობის განკარგულებით. უ. პახინი დიდი ხანი არ არის, რაც ლექსუმის მაზრის ექიმად დაინიშნა, მაგრამ ამ ცოტა ხანშიც საკმაოდ მოიპოვა ხალხის სიყვარული და პატივის ცემა. მართლაც, უ. პახინი ღრისია ამგვარი პატივის ცემისა და სიყვარულისა,

რაღვან ის არა ჰერებს, რომელნიც მარტო თავის ჯიბეს შეჰყურებენ და ხალხის სიღარიბეს და გაჭირვებას უურადლებას არ აქცევენ. როცა ბ. მასინი მთავრობის განკარგულებით ღრიებით ქ. მუთა-ისში იქმნა გადაყვანილი, აქაურები ძალიაზ შეწუხდენ, რაღვან ევონათ, რომ მათი საყვარელი ექიმი სამუდაომდე სტოუებდა მათ, მაგრამ ეხლა, როცა კი ხალხმა გაიგო, რომ უ. პახინი ისევ დაბრუნდება ლექსუმში, სიმწუხარე მხიარულებად შეეცვალა ხალხს.

ექიმებს გარდა ამ მაზრაში დღეს გვყანან ფერ-შლები, გვაქვს აფტეკა, რომელიც გახსნა აქ უ. დ. ჯულელმა, მოგვეპოვებინ თითო-ოროლა ხეირიანი სამკურნალო წიგნები. პველა ამ ზემოდე მოხნენებულ საშუალებათა წყალობით შეუძლია ხალხს საჭიროების ღრიას ისრგებლოს, მაგრამ ამ მაზრაში დღესც ათასობით ბუდობენ უბრალო და მატურარა ექიმები, რომელთაც ექიმობის არა გაეგებათ რა და თავიანთი წამლებით ატყუებენ ხალხს და ბევრს ავათ-მყოფებს იმ სოფელში ისტუმრებენ. აი ამის მაგალითები: ერთი 65 წლის მოხუცებული, ეს ოცი წელიწადია, რაც ქარებით არის ავათ. დღეს გამოჩნდა ვიღაცა მატურარა ექიმი და იმედი მისცა ავათ-მყოფს მორჩენისა. მოიტანა მან რაღაც ბალახი, გადმოადულა და ავათ-მყოფს მისცა სასმელად. სნეულმა მოწიწებით დაუწყო ამ წამალს სმა, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ძლიერ ავათ შეიქმნა და გონებაზედ შეიშალა: დაიწყო არეული ლაპარაკი, ლანძღვა-გინება, სცემდა, ენც ახლოს მიეკარებოდა მას. ამ ოცის წლის დაერთომილს კაცს ორი-სამა კაცი ხელით ვეღარ ამაგრებდა. ექიმი კი შეცეკროდა ავათ-მყოფს და ამბობდა: „შეება ჩემი წამალი ავათ-მყოფს და უთუოდ საუკუნიდ მოარჩენს“. ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში იყო საწყალი სნეული სამი დღე და ღამე. ექიმმა, რომ ნახა, სნეული ცუდ მდგომარეობაში იყო, გაიპარა. სამი დღის შემდეგ ავათ-მყოფი ისევ მოვიდა გონებაზე, მაგრამ თავის სენისაგან არ განთავისუფლებულა. მეორე მაგალითი: ერთ 30 წლის კაცს ასტუკიდა ფეხი. მან მიმართა სოფლის უბრალო ექიმს. მათ დაუწყეს აქიმობა და თავიანთი წამლებით ისე გაუფუჭეს საცოდას ფეხი, რომ ბოლოს, როცა ნასწავლის ექიმებს მოუწოდეს, ექიმობა აღარ შეიძლებოდა. ნასწავლმა ექიმებმა გამოუცხადეს ამ კაცის მშობლებს, რომ ავათ-მყოფისთვის ფეხი ისე წაუხდენია. მატურარა ექიმებს, რომ მისი მორჩენა ეხლა შეუძლებელია. მართლაც, ავათ-მყოფმა

მალე განუტევა სული. ასეთი მაგალითები ბევრია. დროა, რომ ამისთანა მაგალითებში დაარწმუნონ უმეტარი ხალხი, რომ მატყუარა ექიმებს წამლობის არა გაეფებათ რა და მოერიცონ მთ. დროა დაარწმუნდეს ხალხი, რომ სოფლის ექიმები მხოლოდ იმას მეტადინობენ, რომ უმეტარი ხალხი გამოიყონ და ფულები გამოართვან. ასეთი ექიმები თავითნი უბრალო და ხშირად მავნებელი წამლებით ისე აძლიერებენ უბრალო სწორი სწორი გამოიყონ და იმავე გვარში მხოლოდ დრო გამოშვებით.

მდვ. ნიკ. ფრუიძე.

სეანტის ზოგიერთ სოფლებში ძევლიდვან ველი დარჩენილა ერთვეარი სწორება, რომელიც დღეს, როგორც ეგონებ, საქართველოს არცე კუთხეში არ მოიპოვება. ამ გადამდებს სენს სეანები „ძევლენს“ ეძახიან და ძალი წაგას კეთრონების სწორებაზე ასი და ორასი მანეთობით ეხარჯავთ, ის არა სჯობია, რომ ეს ფულები აეთ-მყოფის მოსარჩენიდ ვიმართოთ?

პირველად ის კაცი ან ქალი ვისაც გამოაჩნდება ეს სენი, ყვითლდება, გაფითრდება, ტანზედ მუწუკება ჰყინის, მერე ეს მუწუკები უჩირქდება, თვალის კილოები უყვითლდება, თმა, წვერი და წამწამები ჰყინის, ავათმყოფი თან-და-თან ხმება, და სამი-ოთხის წლის შემდეგ კიდევ ჰყინის. სიკვდილის შემდეგ მიცვალებულს არა ვინ არ სტირის და არც არა-ვინ ეკარება. საცოდავა ის, ვისაც ეს სენი დაემართება. ამგვარ აეთ-მყოფს მაშინვე სახლიდამ გააძვევებენ, ან აეთ-მყოფს სახლში სტოკებენ მარტო და კარგად-მყოფი კი მიღიან სახლიდვან. რჩება საწყალი აეთ-მყოფი მარტოდ. მოკვეთები შორიდვან აწოდებენ

მას სასმელ-საჭმელს, რომელსაც მომტანი აეთ-მყოფის ბინის მოშორებით სდებს ქვაზე და თეთონ უკავიარდების. ამ სენით ამ ახლო ხანში გარდაიცვალა ჩემის სამრევლოში ერთი კაცი. მს სენი გადამდებია და როგორც სენები ამბობენ, მით აეთ-მყოფის მახლობელი ნათესავი უფრო ხშირად ხდებიან აეთო. ამ სენს აქ გვარტომობის აეთ-მყოფობას ეძახიან და მრთლა-დაც ეს სენი ჩადება ერთსა და იმავე გვარში მხოლოდ დრო გამოშვებით.

ეს საშიშარი სენი მარტო მულახ ქვევით სოფ-ლებში სუფეს, ხოლო სეანეთის დანარჩენი სოფლები თავისუფალნი არიან ამ საშიშარი სწორებისაგან. ამ სენით აეთ-მყოფებს ჩენი ექიმები ვერას შევლიან; მათ ამ აეთ-მყოფობის სახელიც არ იციან. ზოგიერთები ამბობენ და რამდენათ მართალია არ ვიცით, რომ ამ სენს არჩენს ერთი ლექსუმელი მღვდელი ზა-ქარია მდიდანი. არავინ იცის კი, თუ რა საშუალებას ხმა-რობს ეს სულიერი მამა ამ საშიშარი სენის წინააღმდეგ. აგრეთვე ამბობენ, რომ ამ სენით აეთ-მყოფებს ძალიან უხდებათ ლექსუმელის ჰა-ლიან.

მდ. სპ. გავაშელოვა.

აზალი აშპები და შენიშვნები.

ამ თვის 9-სა თბილისში ჩამოეიდა ახლად გან-წესებული თბილისის სასულიერო სემინარიის რექ-ტორი არქიმან ლიტი მ. პაისი. მ. პაისი აქა-მომდე ვიტებსკის სემინარიის რექტორად იყო. როგორც ვიცით, მას წინეთ მღვდლად უმსახურნია სამხედრო წოდებაში, შემდეგ დაქვრივებისა შემდგარა ბერად; აკადემიაში სწავლა შეუსრულებია 1872 წელ-სა. მ. არქიმან ლიტი პაისი უკვე ცნობილია სალი-ტერატურო ასპარეზე. უკველამ კარგად იცის ვინო-გრადოვის სტატიები, რომელნიც მის კალამს კუთვნიან. იმედი უნდა ექვინით, რომ თბილისის სემინარიაში ის დაამყრებს რიგიან წესს და წინ წასწევს სწავლის საქმეს.

ამ თვეის შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვიდა უწდესი სინოლისაგან დანიშნული რეებზორი ტაინი სკოტენიკი ბ-ნი ჩისტოვჩია, რ. მელმაც უნდა გა- ჩილოს სემინარის საქმეები. ის ესწრება ეკამცენტრე- ფ და გულმოლდვენებით იკვლევს სემინარის საქმეებს.

**

ამ თვეის დამლევს თბილისში მობრძანდება უწ- დესი სინოლის ოპერა-პროკურორი, რამელსაც თან მოვყება ბ-ნი საბლერი. თბილისიდამ შეთაისში ჩამობრ- ძანდებიან და ზელათის მონასტერს ნახვენ.

**

ხმა ისმის, რომ თბილისის სემინარის ინ- საექტორი ბ-ნი სტეფანი ერთსა და ერთს რუს- თას სემინარისში გადაჰყავთ.

**

ზაზეთ „ივერიის“ ერთ მეთაურ წერილში გა- მოთქმული იყო სურავილი, რომ უველა ეკულესიების და მონასტრების ქონებას და მათში დაცულ ძევლ ნაშთებს და ხელ-ნაწერებს რაგიანი სია ჰქონდეს შეღენილიო. ჩეენ ნამდვილად ვიცით, რომ უველა მონასტრების და ეკულესიების შესანიშნავ ნაშთებს დიდი ხნიდვან შეღენილი აქვთ დაწვრილებითი აღწერილობა. ამ აღწერილობათა ერთი პირი ინახე- ბა თვით მონასტერში და ეკულესიაში და მეორე პირი ინახება სინოლას კანტორაში.

**

მოგვყავს სტატისტიკური ცნობები რუსთას სა- სულიერო წოდების პირებზე.

რუსთას ეკულესის უმაღლეს შეართველობას შეადგენი: სამი მიტრაპოლიტი, 15 არქიეპისკოპოსი და 75 ეპისკოპოსი და სრულიად 93 პირი, მექონე მღვდელ-მთავრის ხარისხისა. პათ რიცხვში 56 პირი მართველი არიან ეპარქიებისა, 28 ვიკარი და 9 მღვდელთ - მთავარი გართავისუფლებული არიან სამსახურისაგან. მრავალ შეკიდ შტატის მაქათ მონასტრებში ირიცხებიან სამა ათას რეას იც- დათი ბერი და ორი ათას ითხას ორმოც-და- რეა მორჩილი; ას სამოცდა ცამეტ შტატ გარეთ მო- ნასტრებში ბერები ირიცხებიან ორი ათას ცხრას იც- დათი ბერი და ორი ათას ითხას ორმოც-და- რეა მორჩილი; ას სამოცდა ცამეტ შტატ გარეთ მო- ნასტრებში ბერები ირიცხებიან ორი ათას ცხრას იც- დათი ბერი და ორი ათას ითხას ორმოც-და- რეა მორჩილი; ას სახათ უველა მონასტრებში ბერები და მორჩილები ირიცხებიან თერთმეტი ათასა. ას სამოც- და ერთ (ამათში ას ექვსი შტატის არის და სამოცდა

ხუთი შტატ გარეთი) დედათ-მონასტრებში ირიცხებიან ოთხი ათას ცხრას ოთხმოცდა ერთი მოლოდინი და თორმეტი ათას ცხრას სამოცდა ექვსი მორჩილი ქალი, ე. ი. სულ პირველი და მეორენი შეადგენენ ჩეიდ- მეტი ათას ცხრას შეკიდს. ამ სახით უველა ხუთას ორმც და ერთ მონასტრებში იმყოფებინ იც-და-რეა ათას რეას ოთხმოცდა ექვსი კაცი; ამას თუ მიუმა- ტებთ თეთრობან სამღვდელოების რიცხვს, მაშინ იქ- ნება ას ცამეტი ათას რეას სამოცდა კაცი.

მხლა ხანს ახლად დაარსდენ მამათ მონასტრები შემთხვევაში (მონასტრისათვის გადადებულ იქმნა ხუთას იც-და-ორი დესიატინა მიწა), აფხაზეთ- ში და ქალაქ ხერსონის მახლობლად; გარდა ამისა დარსდა დედათ მონასტრები სოფელ პასტიჩაში, სიბირის გუბერნიაში.

უკანასკნელი ზოგიერთი საუკრაილებელი

ფელებრძეების გადასაცემი.

აგვისტოს 10-სა

კეტერბურგი. მთავრობის ცნობა: ამ ბოლოდა დონის ზოგიერთს ჩეენს გაზეთებში ხშირად იყო სოლ- მე დაბეჭდილი წერილები მოლიტვის თაობაზედ. დამ- წერი სოლიად უსაფუძლოთ და შეცოდით ამბობენ, რომ ასეთი და ისეთი დამოკიდებულება არის სამსახურ- ტორი მთავრობისა და სხვა დიდთა სახელმწიფოთა შერჩის. ამ წლის განმავლობაში არავერთ ცვლილება არ მოსდარ ჩეენსა და ამ სახელმწიფოთა დამოკიდე- ბულებაში და არც ისეთი რამ გაუმჯობესა მოსალოდნე- დო, რომელმც მიზეზი მოგვცეს, რომ ეს დამოკიდე- ბულება შეიცვლება და მისიპორა და იმულებს სამსახურ- ტორი მთავრობას შეიცვლოს თავისი პოლიტიკას.

„Правительственный Вестник“ - ში დაბეჭდი- ლია წესები იმ სამაგალითო სკოლათათვის, რომელიც სემინარიებთან არიან დაცეს შეკიდნილო.

სარატოვი. გადაწესდა მგზავრებს დამწერის გემისას „Вѣра“ უგევამთ, ცეცხლი ამ გვარად განვიდო: «Вѣра» თუმცა ასტრასანიდვან გამოვიდა და ვოლგაზე მიდობდა. სოდე. „ზოლოტოის“ რომ გასცილდა და

საფამო დადგა, გემზედ ლამპები აანათეს. ლამპების თურმე ადგილად ამიჯეთქის ნაკთით ანათებდნენ. ამ საშინელის უბედულის მიზეზიც ეს საჭით გამსდარა: უკალაზედ შირეულად ცეცხლი დაენასა მი მოსამსახურეს, ორმელიც ლამპებს ანთებს 1-ლა კადაში. ორგორც ის ამბობს, ორდესაც შეკველი გემის 1-ლ კლას-სის ათასში, დავინახე, ორმ ერთი ლამპა გამსგდარიულ და იმის ჭეშ აატაგს ცეცხლი მოჰკიდებოდათ, მივინისენ გემის ცხვირზე, წამოვალე „გედრ“ს სელი, წესლი ამოვილე და გადავასი აატაგსა. აღი უფრო ავალდა და ჭერსაც მოეკიდათ, მოსამსახურის უკირილ სედ, მოგარდა „მატრისი“ და ცეცხლს სალიჩა გადაიტრა, მაგრამ გერ ჩაატო. დაიწყეს უკალილი «ვიწვით, ვიწვით!» ავარდნენ გემის აივნზედ და უკვეანი შეაშვოთეს. სალიში შიშის ზარმა მოიცეა, არივ-დაირიგნენ და შიშით აქთ-იქთ დარბოლენენ. უკვეზედ პირებელად ერთმა ვილაცა გაჭარმა, რომლის გარაოც არ იციან, მოინდომა თავის გადასხენა, პირ-ჭვარი გადაწერა და გადაგარდა წესლი. იმის ცხვრებივით გადაჭვნენ თურმე უკან დანარჩენი მგზავრებიც. ბევრმა მათგანმა ცუალისაც კი არ იციად. გემის კომანდირმა გემი მიაბრუნა და გააქანა სარატოვისეკენ, სადაც უფრო თხელი წესლი იყო. თუმცა გემი სცდილობდა თხელ ადგილზედ გასულიყო, მაგრამ მეზარები მაინც წეალში ცვივოდნენ, რადგნაც ცეცხლი და კომლი შემოერტყა აივასს და სალის ძალა-უბებურად ერეგბადა. თუმცა გემის ცხვირი რიუქზედ გაოტიანა, მაგრამ ბოლო ისევ ათხის საექნის სიღრმეზე ჭრისდა. მეზარებიც იქიდგანა ცვივოდნენ, რადგან გემის თავი ალში იყო გასევული. ვიღამაც მოითვარო და გადაურევისა წეალში სტოლები, სკამები და სს., ორმ წეალში ჩაცვინულთ სელი მოეგიდნათ და თავი შეემავროთ. ბევრი გადასხენენ, მაგრამ უოგიერთი დაიღუპნენ იმის გამო, ორმ გადაურილი ნივთები მძიმე იყო და ჭეშ მოქანენ, სალის დაღუპებს უფრო ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, ორმ გემის მაშინა ისეგ მუშაობდა, გემის თველების ამოქქონდათ წესლი და ჭეშია, უკან ისროდნენ და რიუქზე გასელის მსურებელს მეზარებებს უკან წეალში ჭრიდნენ და ჭდუპავდნენ. გემის მაშინა დამის თორ. მეტ სათამდე მუშაობდა თურმე, თუმცა გემი ერთს აზაგას იყო გახერცებელი.

უურშეო. ორცა ალექსანდრე მთავარი სოფიიდამ იყო წასული, გარაველოვანი, ცანკოვანი, ორდესლავავავანი დაწესეს დროებით მშართბლობა და გამოაცხადეს, ორმ მთავარი გადაუენტულ იქმნა. მთავარი დაატუგეგეს ვიდღინში, ორცა ჭარებს ათვალიერებდა და თითონევ სელი მო-

წერა ტახტის უარ-უოთის ოქმზეო. ერთ სისალოთ მიეგება ამ ამბავსათ. ბოლეგარის უკელ ქალებებში წალ-სა ემზადება თავ-მოსაურელადი. მთავარი ჭერ-ჭელით ლომ-შალანებში წაუწყვინდა, სადაც იმისათვის მოზადებულია გემი ტუნ-სეკერინში წასეუვანდა.

ბერლინი. ოზიციალური გაზეთი „Post“-ი ამბობს, ორმ ბოლეგარის მთავარის გადაუენტება არ დაარღვევებს ეპრობის მშეგილისანისას, რა დადგანაც საძირა იმპერატორთა გაშირი ესლა უფრო მგვალია, ვიღო უოთია და ჭერსაც მოეკიდათ, მოსამსახურის უკირილ სედ, მოგარდა „მატრისი“ და ცეცხლს სალიჩა გადაიტრა. ას ვითო!

აგვისტოს 11-ს.

ვენა. მთავარის გადაუენტება მოითხოვა თვით ერმა, აღმელიც შაბათს დილით შეიკრიბა სასახლის წინ.

ბუქარესტი. მთავარი ალექსანდრე ჭერ-ჭელისათ ლომპალანებინშია.

პარიზი. დროებითის მთავარის თავს-მჯდომარე არას მიტოლებლითი კლიმენტი. კრაველოვას დასს მთავარის გადაუენტები მონაწილეობა არ მიუღია.

ვენა. „Fremdenblat“-ს აზრით დიდთა საკელ მწითათვის, არ გეგრანა, მოულოდნელი ამბავი იყოს ის გატემოება, ორმ ალექსანდრე მთავარი ჩამოეცადა ადმისაველების საქმეებსა. საეჭვოალ—ჩბაობს გაზეთი, —რომ ამ ამბავი დიპლომატიურის დანარჩენის მეტი გამოიწვიოს რამეთ. ეს საქმე იმათვე შინაურ საქმედ დარჩება, საცა მოხდა. ბევრი კამ შეუძლიან ამ შემთხვევაში პოლოგია, მაგრამ შორტა არ ესარჩევს ალექსანდრე მთავარს არც დიპლომატიურად და არც საქმითა.

ბუქარესტი. ბოლეგარის დროებითმა მთავარის დაჭელებიცა ბოლეგარის და ამბობს, ორმ ალექსანდრე მთავარი დიდი ღვაწლი დასდო ბოლეგარის საომარ გელზე, სოლი პოლიტიკაში ბოლეგართა მდგრმარება არ მიიღო მსედებელობაშით. ბოლეგარია სლავიანთა სახელმწიფოა და ის კი მცირედ აქცევდა უურადებას იმაზე, ორმ გარება დამოაცემებულება გვეხინდა რუსეთთანა. ამიტომ მისი გადაუენტება ტახტიდამ საჭირო შექმნა.

ბერლინი. ოზიციალური „ჩრდილო-გერმანის გაზეთი“ ამბობს, ორმ ბოლეგარის საქმეები გენერალის სარგებლობისათვის საზიანო არ არის.

ბუჩარისტი. გაზეთს „ულინტას“ სწერენ სოფია-დამ, ორმ ბოლგარის დოკუმენტი მთავრობა შესდგა შემდეგს მოღვაწეთაგან: მიტრია თოლატი გლიძენტი თავის-მჯდომარეა უზორტიფელი, სტოიანოვი გარეშე საქმეთა მინისტრია, — ცანკვერი შინაგან საქმეთა მინისტრი, ბურ-მოვი — ფინანსთა მინისტრი, მართი ნიკიფოროვი — სამსედო მინისტრი, როდოსლავოვი — იუსტიციისა და გელიხვი — სერო განათლებისა.

აგვისტოს 12-სა.

პეტერბურგი. გუშინ გაუთავებით ჭარების გა-სიცვა კრისტიანელსკის ბანაკში.

, „Journal de st.-Pétersbourg“-ი ბოლგარია-ში მომსდაცის საქმებისა გამო ამბობს, ორმ ბოლგარისა და რუმედის სახელმწიფო მოღვაწენი მისგდებან, ორმ ამ ქმედების ბედ იღბალი, უპირველეს უოვლისა, იმათს საკუთარს საქციელზე არის დამოკიდებული; სა-სეფარდოებს, რომელთაც ასე თუ ისე უნდათ გარდასწევი-რონ მათი სკე-ბედი, ჭირო, მუკილობისანობის დაცვა. იმათი საკუთარი სარგებლობა მოითხოვს, რომ მართებლობათა გული მოიგონ, და ეს შეიძლება მაშინ, თუ აღრეულისა და უკეთ ნაის განზოგებებს, რომელიც ერთ შესეყნებებს სასეფარდოთა კეთილ-გონიერს განკარგუ-დებათ, თავს დანენებებს. მთლად ამაზეა დამოკიდებული მემინი ბოლგარისათ.

ბუჩარისტი. ტახტიდამ გადაუენებული მთავრი ბოლგარისა გუშინ როსოვანმ უნდა წასულიყო და გუშინვე უშრუებოში უნდა მოსულიყოვთ.

აგვისტოს 16-სა

ბუჩარისტი. ბოლგარიდამ იწერებან: თუმცა ტახ-ტიდამ გადაუენებულის მთავრის ალექსანდრეს მომსწერი ცდილობენო, მაგრამ სალეს, როგორც ეტებია, შეუწინა-ტება ასალი მართებლობა და დაწმუნებულა, რომ პრინც ბატისტების ტახტიდამ ჩამოგდება ერთად-ერთი საშუალება, რათა საერთო ბოლოტიერ ხელ-შეუსტებული დარჩესო.

ბოლგარისა გაზეთები ამბობენ, რომ ცანკვერი და-კრილიათ, სოლო არ იციან, სადა ჭერი იგი შეპერ-ბილით.

ბუჩარისტი. მთავარი ალექსანდრე თავის მმართ ფრანცით და ლუდვიგით დღეს დილით, ათ საათზე, მოვიდნენ აქა და დაუკონებლივ წავიდნენ რუმედში. რგინის გზის სადგურზე მთავარს მიეგებენ ბრატიანო

და სსვა რუმინის მართებლობის წარმომადგენელი, ინ-გლისის საელჩო და ბოლგარის წარმომადგენელი. საით წაგლენ აქედამ, რუმედში გარდასწევეტინო; უე-ჭელია, მთავარი დუსაით დომი ჰაჯანგინამდე მივა, სო-ლო აქედამ ვიდდინის მეცისოვნე ჭარით სოფაში მი-ვათ.

ბურგევო. მთავარი ალექსანდრე გუშინ შუალი-სას მოვიდა აქა; მიეგება სტრიბულოვი ბოლგართა წარ-მომადგენელებით, ჩაჯდა იმ გემში, რომლითაც ის გაი-სტუმრეს და წაგიდა რუმედში მას მიეგებენ მიტრიპოლიტი გრიგორი, უცხო ქვეყნების კასტულება და სალის. კონაკში ჭირნდათ რჩევა და გარდასწევილებს, რომ დღეს ტირონელი წავიდეთო, რადგანაც სოფიაში წასელა ჭერ-ჭერითი საშიშია.

ცენტრალური მაცნერებელი ერისცის-ნობრივი სარწმუნოებას და პარიზ-ზენგაზელი.

საუბალი მეორე

შვილების საკეთილ-დღეოდ დედებისაგან პირველ გასაწვრთნავ-დარიგებაზელ.

ამბობენ: „რასაც დასთეს, იმას მომკინა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მხოლოდ მაშინ მოი-კი მარჯველ და სასარგებლოდ, როცა რბილს და ფხვიერს მიწაში დროით დასთეს; გამოფიტულს და გამხმარ მიწაში გვიან დათესილი თესლი ნაყოფი ვერ გამოილებს. ასე მოხდება ხოლმე ჩვეულებრივ თესვის ღრის; ესევე ითქმის სულიირ თესვაზედაც, გასაწვრთნავ-დარიგებაზედ, რომელნიც ხალხის სულ-ში ითესებიან. ამ შემთხვევაში ადრიანადვე დედების-გან გაწროვნა და დარიგება შვილებისა არის თვით მარჯვე, კეთილ-დროებითი და საიმელო თესვა, რომ-ლითა კველამ უნდა გისარგებლოთ შვილების საი-კეთოლ. მართალია, რომ დედის მუცელშივე ბავშვი ითესებს დედის ჩვეულებას: როცა დედა-ჯავრობს, იგი სწამლავს და ავად-ხდის თავის ყრმასაც. დედის

რძესთან ბავშვი საზრდოობს და გაუგებრად ითვისებს იმას, რაც კი არის მის დედაში ავი, თუ კარგი. როცა უკურებს იგი თავის დედას და თვალს არ აცილებს. როცა იგი ძებუს სწორს, ყოველთვის თვალებში უკურებს დედას და აკვირდება მის პირის სახის გამომეტყველებას. იცინის დედა, იცინის მისი ბავშვიც; როცა დედას გული მოსდის და ჯავრობს, ბავშვიც სწორს და სტირის. თუ დედა ლოცულობს, ჰქონის ხატსა და მეტანის შერება, ყრმაც ყოველისლერში მას ბაძავს. როცა ყრმას ემის დედისგან ლანძღვაგინება, ისიც იმასევ იმეორებს და ხშირად დედასვე ეუპნება. როცა ბავშვი რაიმე ამბავს გაიგონებს დედისაგან, ძალიან ღრმად და დიდხანს იხსოვნებს მას. მრთი სიტყვით დედა თავისი ხსიათით, ჩვეულებით, ქცევით, სიტყვით, ამბების მოთხრობით და რწმუნებით არის მაგალითი და სარკე თავის შვილისა, რომელსა მიღებული და თან შეზრდილი აქეს მისგან ყველაფერი, და ეს ყველივე ღრმად იდგამს ფეხებს ბავშვის ჩბილს და ნორჩ-სულში. ბავშვი რამდენიც იპრლება, იმადენათ იხსნება გონებით და ემატება მას სხვა შთაბეჭდილება და ცოდნა და ითვისებს სხვადა-სხვა ნაირ ჩვეულებათა; ბავშობაში შეძრილი წთაბეჭდილებანი ღრმად იდგმენ ფეხებს მისს სულში და გულში. მს იმისაგან მტკიცება, რომ იკი დიდობაში ადგილად გაიხსებებს და წარმოიდგენს ყველაფერს ბავშობისას, ხან-და-ხან ძალიან სასიამოვნოდ გვრჩება ხოლმე, როცა მოხუცებაში მოვიგონებთ სიქმაწვილეს. თუ როგორ ღრმად დაინერგება ბავშვის სულში თავდაპირველადვე დედის გაწვრთნა და დარიგება, ამის დასამტკიცებლად მე მოვიყან მაგალითად წმიდა პანტელეიმონ მკურნალს. მს პანტელეიმონი იყო მდიდარის და წარჩინებულის გვარის მშობლების შეილი. მისი მამა მესტორი წარმართი იყო, დედა-შვეულავი — ქრისტიანი. მამას უნდოდა აღეზარდა შეიღი წარმართობაში; მაგრამ დედა თავის მხრივ სცილობდა პატარაობიდგანვე შეეგონებინა თავის საყარელი შვილისათვის ქრისტიანობა და სიწმიდე ქრისტიანური ცხოვრებია. დედა ბევრს ელაპარაკებოდა თავის შეიღის ქრისტეზე და ქრისტიანებზედ; მაგრამ ამ ყმაწვილს ბოვშობაშიდვე მოუკიდა დედა. დედის სიკედილის შემდგომ ზრდით და ასწავლიდენ ყმაწვილს წარმართობას. აღმზრდელებს სურდათ, რომ ყმაწვილი პირველი ექიმი გამოსულიყო. მს აღვილი შესაძლებელი იყო, რადგან პანტელეიმონს

მამა ჰქონდა სახელოვანი და მდიდარი კაცი; მაგრამ დედის დარიგება ქრისტესა და ქრისტიანობაზე ყავი ვიღს ძალიან ცხადად ახსოვდა და სულ დაფიქრებული დაიარებოდა სასწავლებელში. მრთხელ დაღვრე-მილ დაფიქრებულმა პანტელეიმონმა ერთს პატარა სახლის ახლოს გაიარა; ამ სახლში იყვნენ ქრისტია-ნები და მათი მოხუცებული მრამლაობ მღვდელი. შენი ემალებოდენ წარმართებს, რომელნიც მოსაკლავად სდევნიდენ მათ. მღვდელს ერთობ მოსწონდა ამ ყმაწვილის მშვიდი და ჩაუიქრებული სახე და ამი-ტომ მან შეიყვანა იგი თავის ქოხში, გვერდით მოის-ვა და გამოჰკითხა, თუ რას სწავლობს იგი, რა გვა-რია, ვასი შვილია, რომელი სარწმუნოებისაა და სხვ. პანტელეიმონმა ყოველივე მოახსენა მოხუცს. ბოლოს ჰკითხა მღვდელმა: რომელი სარწმუნოება უფრო მოვწონს; მამისა, თუ დედისა? პანტელეი-მონმა უპასუხა: სანამ დედა-ჩემი ცოცხალი იყო და მასწავლიდა თავის სარწმუნოებას, ძალიან მიყვარდა მისი სარწმუნოება; ეხლა კი მამა ჩემს ჰსურს, რომ მისს სარწმუნოებისამებრ აღვიზარდო და წარმართე-ბის წარჩინებული ექიმები: ასკლაპი, იაკუჩატი და გალლინა კარგად შევისწავლო, რომ მეც კარგი ექიმი გამოვიდე. მღვდელი დაფიქრდა ცუტა ხანს და შემდგომ უთხრა: დამერწმუნე და დამიჯერე, ჩემი შვილო, რომ ეს ექიმები ბევრს ვერაფერს მაგებმა-რებიან ექიმიბაში და არც ის ღმერთები, რომელნაც თქვენ წარმართებს გრწამთ. მხოლოდ ერთი არის ჰკეშმარიტი და ყოვლად ძლიერი მუჟინალი — ეს არის იესო მრისტე, ძე ღვთისა. თუ შენ იმას იარწმუნებ, მაშინ დამიჯერე, რომ მხოლოდ ერთის მისის შემა-სახელის ხსენებით და მოწოდებით შენ განკურნება ავად-მეოფებს, რანარი სწეულებითაც კი იქნებიან იგინი ავად. რადგან — იგიც იესო მრისტე, ქეკუჩაზე ყოფნის დროს, მრავალთა სწეულ-დავრუამილთა და განრღვეულთა ერთის სიტყვით ჰკუჩავდა და არ-ჩენდა. მამათანავე მღვდელმა უაპთო პანტელეიმონს, თუ იესო მრისტე ბრძებს როგორ უხილავდა თვა-ლებს და ძლიერდა მხედველობას, როგორ ჰკუჩავდა დავრღომილ სწეულებს და ერთის სიტყვით მეცდრებს როგორ აცოცხლებდა; ეგრეთვე ბევრი უმარ-მღვდელმა მაცხოვრის სწავლა მოძღვრებაზედ. ზმაწ-ვილი ღრმად ჩაფიქრებული და გაშტერებული უკურა-დებით ისმენდა მღვდელის საუბარს; და ამ დროსვე ცხადად გაახსენდა მას თავის საკუარლის დედის დარიგება მრისტეზე და წარმოიუგინა დედა —

თუ როგორ ლოცულობდა იგი შრისტე ღმერთსა. მაშინვე მთლად გაახსენდა მას თავის დელის გაწრთვნა-დარიგებები თავის სიბოვშემივე გავონილი და ამისათვის დადგის სიამოვნებით ყურს უდღებდა მოხუცს შლვდელს. ამის შემდგომ თვეთონ პანტელეიმონი ხშირად დაიარებოდა მღვდელთან და დედის კმარიფილებით ისმენდა მასს სახებარს. მრთხელ პანტელეიმონმა უაშო შლვდელს ამ ნაირად: «მე ისევ ბავშვი ვიყავი, როცა დედისგან მესმოდა ის, რახედაც ეხლა თქვენ მაქადაგეთ; მახსოვს, რომ დედა-ჩემი ხშირად ლოცულობდა იმ ღმერთს, რომელზედც ეხლა თქვენ მელაპარაკებით; მე ძალიან მიყეარდა დედის სარწმუნოება და ძალიანაც მომწონდა». მრთის სიტყვით დეთაგბრივი ნაჯრ წკალი, დედისგან მის გულში შთადებული, უფრო და უფრო დალენთო და აპრიალდა. დედის გაწრთვნა-დარიგებამ და მღვდლის სიტყვებმა მთლად შეიძყრეს პანტელეიმონის სული და გული! ბევრი დრო არ გასულა, რომ ისიც მალე მოინათლა და გაქრისტიანდა და თავისი მამაც და ბევრი სხვანიც გაქრისტიანდა და გახდა ჭრშმარიტი ქრისტიანე ასე, რომ შრისტეს სახელის სადიდებლად მრავალთა ღარიბთა და გაჭირებულთა ურიგებდა მოწყალებას და უსასერდლოდ, მუქტად ჰერნაედა და არჩენდა ავალ-მყოფებს; შეტად თავ-დადებული იყო იმ ქრისტიანებისთვის, რომელნიც მრისცეს გულისთვის იყვნენ წარმართებისგან საპატიმრო-საბყრობილები და წუკულეულ-დატუცებულნი. თვით მკურნალი პანტელეიმონიც წმებით აღსრულდა შრისტეს გულის-ფის 305 წ. წარმართ-მეფის მაქსიმიანეს დროს.

აი, პატიოსანო დებო—მაგალითი, რომელიც ცხადად გვარტკეცებს ჩენ, თუ რა კაი გავლენა აქვს შეილებზე ბავშების ადრიანადვე წრთვნა-დარიგებას. პმიტომ აღრევე შეუდექით კმარილების აღზრდას და დარიგებას და ნუ იტყვით, რომ „ჯერ ჩენი გვარტკეცები პატარები და უგუნური არიანო; რომ იმთ ჯერ არათერი არ ესმისთ და ეერ ვაიგებენ, რასაც ჩენ გშერებით, ვაკეთებთ და ვლაპარაკობთ და დიდხანს ვერაუერს დაიხსოვნებენ ივინიო. თუ ასე იფიქრებთ, მოსტუუდებით; რადგან კრმები უფრო თვალ-ურის მდევნებელნი და ცნობის მოყვარენი არიან, ვიდრე ჩენ მოხუცი, და უფრო მალე დაინახსოვრებენ უველა გავონილს, დანახულს და ღრმად მძეჭდავენ მათთვის მეხსიერებაში, და არ არიან ისეთნი, როგორიც ჩენ გვერონია. პმიტომ თქვენ,

პატიოსანო დებო, გეტუვი წმიდა განმარტლებელის ტიხონის დარიგებას: «რა წამს ბავშვები ცოტა-ოლნად მიხედებიან საგრძნების გრძელებას და რისამე გა-გებას, მაშინვე მათს გულში შთაა! ხი ქრისტიანობრივი სწავლის რძეო».

ნუ თუ შემდგომ ყოველივე აქ ნათქვამისა, არ უნდა გაუფთხილდეთ ყველანი, რომ ხეირიანად მოვიკეთ—განსაკუთრებით მაშინ, როცა კმარილები გარ-შემო გვახვევიან? დაერწმუნდეთ, რომ ჩვენი საქიფელი და სიტყვები, თესლის მსგავსად, ეცემიან და ოთხებიან ძალიან სასარგებლო დანაკავების გამოსა-ლებ ნიადაგზედ? ჩვენ ყველანი მაშინ ვიქმნებით უბედურნი, როდესც ჩვენის დაუდევნელობით, უუ-ლის კუვეით და სიტყვებით და მაგალითით დავლუ-პავით ჩვენ შეილებს. ამაზედ, აი რა საშინელს და შემაძრწუნებელს განჩინებას ბრძანებს თვით ჩვენი მაცხოვარი მრისტე: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმ-ჯობეს არს მისუამა თუ იკიდოს წისქვილი ვირით საფეხელი ქედია, და დაინთქას იგი უუსკრულსა ზღვისასა“. (მატ. 18, 6) ამინ!

დეპ. ჟაჟდეს სვამითინისძე მამამთავრიშვილი გიგაური.

ჩუთაისის საულიერო სასახალებლის სამართ-ველო აცხადებს შემდეგს:

- 1) მეორეთ გამოცდა მოწაფეებისა, რომ-ლებსაც ერთ-ერთ საგანში მიუღიათ ორი (2) ეკზამენების დროს, იქნება ამ მიმავალი თვის აგვისტოს 25 და 26 რიცხვებში, დილის 8 საა-თიდეგან შუალედის 2 საათამდის; 2) გამოცდა კმა-რილებისა, რომელთაც ჰესურთ შესვლა ქუთა-ისის საულიერო სასწავლებელში იქნება 27 და 28 ამავე ხსენებულ თვესა და იმავე საათს; 3) თხოვნა სასწავლებელში კმარტვილების მიღებაზედ უნდა იყოს დაწერილი ზედამხედველის სახელ-ზედ და არა მართველობისაზე; თხოვნასთან უეჭველად უნდა წარედგინოს ზედამხედველს 25 აგვისტომდის კმარტვილის წლოვანებაზედ მეტ-რივის აღმოჩენილობისაზე სამ აბაზიანის მარკით და კვავილის აცრის მოწმობა; 4) პირველ მოსამზა-

დებელ კლასში უმაწვილები იქმნებიან უაგზემე-
ნიოთ მიღებული 7 წლიდგან 8 წლის ნახევრამდე;
სხვა კლასებში უაგზემენიოთ მიღება არ შეიძლე-
ბა არავითარი მიზეზისა გამო; 5) უკეთუ მიღე-
ბის დროს უმაწვილები ვაკანციაზედ აღმატებუ-
ლი აღმოჩნდებიან, მაშინ იმათში სამმართველო
აღმორჩევს ჯერ სასულიერო წოდებისას და
მერმე თუ დარჩება კიჯევ აფილი, მიიღებს
ერთს კაცის შვილებს; 6) მიღებულ უმაწვილებს
სასწავლებელში სასამართლო გააშინჯებს ექიმს
და, თუ რომელიმე იმათგანი ტანმრთელი არ გა-
და, უკანვე დააბრუნებს; 7) შემოსვლის
უმაღლე სასწავლებელში უმაწვილები უნდა იუვნენ
ჩაცმულ-დასურულნი იმ ფორმაზედ, როგორიც
არის შემოღებული სასწავლებელში; აგრეთვე
უმაწვილები უნდა იდგნენ ბინაზედ სანდო პირებ-
თან, რომელნიც აღმორჩეულნი ჰქვანან სასუ-
ლიერო სასწავლებლის სამმართველოს.

(2-2)

გორის სასულიერო სასწავლებლიდგან.

გამოცენა უმაწვილებისა, რომელთაც ჭრით
შესვლა გორის სასულიერო სასწავლებელში,
იქნება 27 აგვისტოს, ხოლო მეორედ გამოცდა
ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეებისა 28
და 31 იმავე თვისას; თხოვნა სასწავლებელში
მიღებაზედ და უვაკილის ნახადობისა ანუ
აცრისა სასწავლებელში შემოსვლის მსურველთა
უნდა წარმოადგინონ აგვისტოს 25-მდე.

(3-3)

განცხადება.

მიღება ხელის-მოჭეა 1886 წლისათვის ჩართულ
სასულიერო გაზეთს

„გწ ქემს გედ“

და „მუშაოს-“ს რუსულ დავატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყო-
ბინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარ-
გულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და
სახორციელო მართველობათა, კონსიტორიათა და
მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო
იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წო-
დებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა
საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხეა-
თა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო
და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტია-
ნობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4)
აუქსინას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო
მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რო-
მელთა ცოდნა მიუკალებელ საჭიროებას შეადგენს
მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნუ-
ლად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა—სამი მანეთი.

„მწევმასი“ რესული დამაცებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რესული დამაცება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

გაზეთის ფასი და უველ გვარი წერილების გაგზავნა
შეძლება რედაქციაში ამ აღრეხით: *Bz. Kaviriani, Bz. pedakviro „Mukemci“ (Пасტвир).*

შინაართი: ოფიც. ნიწ. უწმიდესა სინადას
განკარგულებანი.—არა ოფიც. ნიწ. სხვა-და-სხვა ნაირათ
ასრულება. ზოგიერთი ეკვედისა წესებისა.—გაუ-
ფრთხილდეთ!—ლეჩესუმიდამ.—საგანგოდამ.—ასალი ამ-
ბებიდ შენიშვნები.—ტელეგრამები.—საუსარი მეორე.—
განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი მდვ. დ. დამბაშიძე. დო. ცენზურით კუთაისი, 19 Августი, 1886 წ.